



ჩვენი ოჯახი

10



დოქ. ელიფ არსლან



# შინდა, რომ ჩვენს ოჯახში იყოს თანეგობრობა





მოწყაღე და მწყაღობელი ღმერთის სახელით



muslim georgia



დიანეთის საქმეთა  
სამმართველოს გამომცემლობა

სახალხო წიგნები

თარგმნა

აუთანდილ მიქელაძემ

გრაფიკა და დიზაინი

ბილალ ილკაი



საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი

وقف تضامن وادع المسلمو جورجا

muslim GEORGIA ULUSLARARASI YARDIMLAŞMA VAKFI



[www.muslimgeorgia.org](http://www.muslimgeorgia.org)



[info@muslimgeorgia.org](mailto:info@muslimgeorgia.org)



[muslim.georgia.18](https://www.facebook.com/muslim.georgia.18)



[muslim.georgia.54](https://www.facebook.com/muslim.georgia.54)



[georgiaquran](https://twitter.com/georgiaquran)



[muslim\\_georgia](https://twitter.com/muslim_georgia)



[muslimgeorgiaquran](https://www.instagram.com/muslimgeorgiaquran)



[muslimgeorgia](https://www.instagram.com/muslimgeorgia)



# ვიწოდებ, რომ ჩვენს ოჯახში იყოს თანაგზიძნობა




დრ. ელიზა ხარაძე



ის იყო ძღვევამოსილი, ძლიერი, მისი მფლობელი. მან აიღო მათრახი, დაუშვა, აიღო, დაუშვა; ის სცემდა თავის მონას. მოულოდნელად მოესმა ხმა უკნიდან: “იცოდე ებუ მესუდ...” შეტრიალდა უკან, დაინახა ალლაჰის შუამავალი. „იცოდე ებუ მესუდ, რომ ღვთის ძალა შენზე, მეტია ვიდრე შენი ძალა ამ მონის ძალაზე.“ - თქვა მან.რა შოკისმომგვრელი გაფრთხილებაა იმ ადამიანისთვის, რომელიც ფიქრობს, რომ ის ერთადერთი ძღვევამოსილი და ერთადერთი უფლებამოსილია!

დაუყოვნებლივ დააგდო მათრახი მედინელმა, შუამავლის მიმდევარმა მეგო-



ბარმა ებუ მესუდმა.შემდგომში, როდესაც ის ყვებოდა, ალლაჰის ელჩის მიერ მისი ასე ეფექტურად გაფრთხილების შესახებ, თქვა, რომ აღარასდროს უცემია თავისი არცერთი მონა და ის მონაც ალლაჰის კმაყოფილების მოსაპოვებლად გაათავისუფლა. (მუსლიმ, ეიმან, 34).რადგან უკვე იცოდა, რომ ცისა და მიწის მფლობელი ალლაჰის ძლევა მოსილება გაცილებით მეტია, ვიდრე მისი ძალა... სამყაროს ერთადერთი მფლობელი ალლაჰი, ამავდროულად „მოწყალეთაგან ყველაზე მწყალობელი“ თავისი მსახურისგანაც ასევე ელოდება არა ძალადობას, არამედ თანაგრძნობას...





როდესაც ესაუბრობი ძალადობაზე ...

ძალადობა დამაზარალებელი, უხე-  
შად მომპყრობი და დამამცირებელი  
ეფექტით არის უძველესი ფენომენი, რო-  
გორც კაცობრიობის ისტორია, როდესაც  
ჰზ. ადამის შვილებიდან ერთმა მათგან-  
მა მეორე მოკლა, სინამდვილეში ეს იყო  
პირველი ოჯახური ძალადობა. ძალა-  
დობის შხამიანი სუნთქვა გავრცელდა  
ადამიანთა შორის დროისა და სივრცის  
აღიარების გარეშე. მან აგემა ცრემლე-  
ბი, ტკივილი და მწუხარება მილიონო-  
ბით ადამიანს, განურჩევლად ასაკისა და  
სქესისა. დააზიანა არა მხოლოდ მათი  
სხეულები, სულებიდა შინაგანი სამყა-  
რო, არამედ მათი სულიერებაც. და ყვე-  
ლა შეურაცხყოფამ, ყველა მუშტმა, ყელა  
ტყვიამ ახალი ძალადობა წარმოშვა.

მაშინ, როდესაც სამყაროთა ღმერთი  
ბრძანებს „ჩემმა მოწყალებამ აჯობა  
ჩემს რისხვას.“ (ბუჰარი, თევჰიდ, 22), ზოგიერთ-  
მა მისმა მსახურმა სისასტიკე აირჩია.  
მრავალი საუკუნის მანძილზე, როდესაც  
აღლაჰის შუამავლები მოუწოდებდნენ  
კაცობრიობას თანაგრძნობისა და სა-

მართლიანობისკენ, ზოგიერთმა მათგანმა დაუინებით აირჩია ტირანია. მაშინ როდესაც, მოწყალეობით სავსე გზავნილი ბოლო შუამავლისა, „და არ წარგვიგზავნიხარ შენ, თუ არა მოწყალეობად სამყაროთათვის!“ (ენბია, 21/107) გავრცელდა მსოფლიოში, დღესაც კი, არ არის წაშლილი ძალადობა ჩვენი ცხოვრებიდან.

ძალადობა მოგზაურობს კონტინენტებზე. ის იწყება ფიზიკური და ემოციური ძალადობით, რომელსაც ადამიანი აყენებს საკუთარ თავს, შემდეგ კი გადადის ოჯახის წევრებზე. იგი ვრცელდება მეზობლებისა და ნათესავების ურთიერთობებზე, აისახება ქალაქების ტექსტურაზე და საბოლოოდ აღწევს საერთაშორისო მასშტაბებს. იმისათვის, რომ ვუთხრათ ძალადობას „გაჩერდი!“, უნდა დავიწყოთ ჩვენთან ყველაზე ახლოს მყოფით. სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება, რომ მივიღოთ ჰუმანურობა მთელი ჩვენი არსებით და დავამკვიდროთ თანაგრძნობა და სამართლიანობა ჩვენს ოჯახში. რადგან, ყოველი არსება, რომელიც გაურბის ძალადობის აუტანელ სიციხეს და შუღლის საშინელ ქარიშხალს, იმსახურებს მშვიდობასა და ნდობას ოჯახის ჰუმანური ჭერის ქვეშ.



სად არის აქ ძალადობა?

როდესაც საქმე ძალადობას ეხება, პირველი, რაც გვაგონდება არის ფიზიკური ძალადობა, ანუ ცემა. ამის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი, შეიძლება იყოს ეგრეთ წოდებული “ფიზიკური”, ანუ ხილული? თუკი ძალადობა არ არის ხილული?

მაგალითად, თუ ადამიანის თვისებაზე, როგორიცაა „ადამიანობა“, ხდება უხილავი როზგების დარტყმა და ზიანს აყენებს მის ღირსებას? თუკი ის ნადგურდება მაღულად, აზიანებს მის ეგოს? თუ ურტყამს მას გამოხედვით, წიხლს სცემს სიტყვებით, ექაჩება მისი სულის სიმებს დამცირებებით? თუ ის კარების ჩაუკეტავად, ხელებისა და ფეხების შეკვრის გარეშე ახრჩობს მის ნებას და ატყვევებს მას? შეგვიძლია ვთქვათ, რომ არ არის ძალადობა? ადამიანი, რომელიც განიცდის შეურაცხყოფას თავისი მეუღლისგან, ადამიანი, რომელსაც უწყრებიან, დამცირებულია, რომლის შრომა არ არის დაფასებელი, პირიქით, მუდმივად





მიმდინარეობს მისი კრიტიკა, მიუხედავად იმისა კაცი იქნება თუ ქალი, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არ არის ძალადობის მსხვერპლი? შვილი, რომელიც მოწმე ხდება სახლში ცემისა, განა არ არის ძალადობის მსხვერპლი, თუნდაც მას არ სცემდნენ?

ჩვენი ძვირფასი  
 შუამავალი ამბობს,  
 რომ „საუკეთესო  
 თქვენს შორის არის  
 ის, ვინც საუკეთესოა  
 მისი ოჯახისთვის, მეც  
 საუკეთესო ვარ ჩემი  
 ოჯახისთვის.“

(თირმიზი, მენაკიბ, 63)



## მინდა, რომ ჩემს ოჯახში იყოს თანამჩინოა



როდესაც ძალადობა არ არის ფიზიკური, ცხოვრება შეიძლება გამოიყურებოდეს, როგორც რძის ზღვა. იმ ადამიანსაც კი, რომელიც ძალადობის მსხვერპლია, გაუჭირდება დაარქვას სახელი სიტუაციას, რომელშიც ის ცხოვრობს, რა მოპყრობასაც განიცხდის. მან შეიძლება ვერ შეაფასოს ეს ვითარება, რომელიც აბრუებს მას სიღრმისეულად, უქმნის პრობლემებს, ამწუხრებს, იწვევს მასში კომპლექსურ გრძნობებს. სინამდვილეში, მის მიერ განცდილი არის ძალადობა.



მოდითდავფიქრდეთ; როგორ შეგვიძლია განვსაზღვროთ ცილისწამება ძალადობის მიღმა? შეურაცხყოფელი გამონათქვამები, წყევლა, ცუდი მეტსახელები არ დათრგუნავს ადამიანს? მაშინ, როდესაც მეუღლეები ერთმანეთის ფარდა გახადა ყოვლისშემძლე ალლაჰმა, მეუღლის კონფიდენციალურობის სხვებისთვის განდობა, მისი ნდობის ბოროტად გამოყენება, სხვა რა არის, თუ არა ძალადობა? ქალი, რომელსაც არ აძლევენ თავის ოჯახთან, ნათესავებთან და მეზობლებთან შეხვედრის უფლებას, არ არის ძალადობის მსხვერპლი? პატარა ბავშვის მიერ განცდილი ტკივილი, განცდილი ტანჯვა, რომელსაც ესმის მუქარა „თუ ჩემს ნათქვამს არ შეასრულებ, შენი დედა აღარ ვიქნები.“ რითი შეგვიძლია გამოვხატოთ? ბებია, რომლის პენსიაც მიითვისეს, ახალგაზრდა, რომელსაც იძულებით ამუშავენ, ბავშვი, რომლის მიმართაც განხორციელდა ძალადობა, არ არის ძალადობის კლანჭებში? ამრიგად, ძალადობა არა მხოლოდ ხილული განზომილება, არამედ სერიოზული პრობლემაა, რომელიც საფრთხეს უქმნის ჩვენს ოჯახს თავისი ეკონომიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური და სოციალური მასშტაბებით.

ჩემს ოჯახში არაფერ არ უნდა  
გახდეს ძალიანობის მსხვერპლი

ყველაზე ცუდი მნიშვნელობა წარმოიქმნება, როდესაც სიტყვა “ძალიანობა” გამოიყენება სიტყვა „ოჯახთან“ ერთად: „ოჯახში ძალიანობა“... რა მწარე გამოხატულებაა! სინამდვილეში, სიტყვა ძალიანობა არ არის ის სიტყვა, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს ნახსენები ოჯახთან? რადგანაც ჩვენ, როგორც წმინდა ყურანი ამბობს, „ვიპოვოთ ერთმანეთში სიმშვიდე (რუმი, 30/21), ჩვენი მეუღლეები იყონ სამოსელი ჩვენი (ბაყარა, 2/187), ვუბრძანოთ ერთმანეთს სიკეთე და ავუკრძალოთ უკეთურობა. (თევაბე, 9/71) ვქმნით ოჯახს. დავიცვათ ერთმანეთი მატერიალური და მორალური ბოროტებისგან, როგორც ტანსაცმელმა, დაუჭიროთ ერთმანეთს მხარი უანგაროდ, გავერთიანდეთ, დავფაროთ ჩვენი ნაკლოვანებები. დედამიწაზე ჩვენი მაგალითი, ჩვენი თვალის სინათლე, ჩვენი სიხარულის წყარო ჩვენი შვილები, საიქილოშიც ჩვენი კაპიტალნი იყვნენ. ერთად დავტკბეთ ბედნიერებით, ნდობით, შეჩვევით, საუბრით.



ამ გრძნობებით და აზრებით ჩვენ ვქმნით ოჯახებს. როგორ შეიძლება ძალადობამ იპოვოს ადგილი ისეთ ჭერქვეშ, რომლის საძირკველი ჩაყრილია სიყვარულით და პატივისცემით? მაშინ, როდესაც ჩვენი შუამავალი, რომლის სუნნეთიც ჩვენი გვირგვინია, ბრძანებს; “განკითხვის დღეს ყველაზე დიდად იწვალებენ ისინი, ვინც ადამიანებს ყველაზე მეტად აწამებდნენ.“ (იბნ ჰანბელ, IV, 90)! როდესაც ვსაუბრობთ წამებაზე, არ უნდა იქნას გაგებული როგორც, მხოლოდ გადაჭარბებული და სისტემატური დევნა. ნებისმიერი სახის თავდასხმა ადამი-



## მინდა, რომ ჩემს ოჯახში იყოს თანამოქალაქი

ანის სხეულზე ან პიროვნებაზე, გარკვეული პერიოდის შემდეგ შეიძლება გადაიზარდოს წამებაში. შეიძლება იმის უარყოფა, რომ უფლებების დარღვევებმა





და ძალადობრივმა ქცევებმა, რომლებიც თითქოს მცირე ჩანს, დროთა განმავლობაში სიცოცხლე აუტანელი გახადოს და გადაიქცეს წამებად?

როდესაც საუბარი ოჯახში ძალადობას ეხება, პირველი რასაც ვფიქრობთ, არის ქმრის ძალადობა ცოლზე. თუმცა, ეს მხოლოდ ძალადობის ერთი სახეობაა. ოჯახში ბავშვებზე შეიძლება იყვნენ ძალადობის ობიექტნი. უფრო მეტიც, ბავშვები შეიძლება იყვნენ ძალადობის მსხვერპლნი ოჯახში მყოფი ყველა ზრდასრული ახლო ნათესავის მხრიდანაც, მაგალითად როგორც არის ბიძა. და მოხუცები... ისინიც შეიძლება აღმოჩნდნენ ძალადობის მსხვერპლნი მათი შვილების ან შვილიშვილების მხრიდან, რომლებიც გაზარდეს დიდი ჯაფით. ოჯახში ძალადობის საკითხში ის, ვინც ყველაზე ბოლოს შეიძლება გაგახსენდეთ არის მამაკაცი. თუმცა, შესაძლოა შეგვხვდეს სიტუაციებიც, როდესაც მამაკაცი განიცდის ძალადობას სიტყვიერი, ფსიქოლოგიური ან ეკონომიკური ზეწოლით. ჩვენ არ გვინდა რაიმე სახის ძალადობა ჩვენს ოჯახში, თანაც არავის წინააღმდეგ...

## ჩვენს ოჯახში ქალი არ გახდეს ძალადობის მსხვერპლი

ჩვენს მეუღლეს ვუწოდებთ “ცხოვრების მეგზურს”. მეგზური, რა თბილი გამოხატულებაა, რომელიც ქორწინების ურთიერთობის კავშირს განმარტავს სასიამოვნო ენით! ეს არის ის, ვინც ზურგს უმაგრებს ადამიანს და თავს აგრძნობინებს უსაფრთხოდ მარტოობის, საფრთხის, თავდასხმის წინაშე. როდესაც საქმე ეხება ცხოვრების მეგზურს, ეს მახასიათებლები უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს: მეგობრობა, რომელის დროსაც სანამ ღმერთი სიცოცხლეს აძლევს ერთმანეთს იცავენ და ეხმარებიან, მხარს უჭერენ და არიან თვალის სინათლენი...

ჩვენი შუამავალი ბრძანებს, „ქალები, კაცებთან ერთად არიან მეორე ნახევარნი, რომლებიც ქმნიან ერთ მთლიანს.“ (ვბუ და ვუდ, თაჰარეთ, 94) თუმცა, თუ მეუღლეებს შორის ურთიერთობები აღარ იქნება ერთმანეთის შემაჯავებელი და გადაიქცევა რთულ ურთიერთობებად, ნდობა დაზარალდება. მეუღლეები მარტოსულნი ხდებიან, უცხოვდებიან. ვეღარ ხედავენ





## ზინდა, რომ ჩვენს ოჯახში იყოს თანამჩინოა

ერთმანეთის ღამაზე მხარეებს, ვეღარ აფასებენ. ამიტომ, ჩვენმა შუამავალმა ბრძანა, „მორწმუნე ადამიანმა, არ უნდა ატაროს სიძულვილი მისი მეუღლის მიმართ. იმიტომ, რომ თუ მას არ მოსწონს მისი ერთი ბუნება, მას აუცილებლად ექნება სხვა ჩვევა, რომელიც მოეწონება.“ (მუსლიმი, რადა, 61) და გვირჩევს ყურადღება გადავიტანოთ კარგზე და პოზიტიურზე.

ქორწინება არ უნდა იყოს ტვირთი მხრებზე, არამედ უნდა ბრწყინავდეს თვალები. ადამიანი უნდა იყოს ცხოვრების მეგზურის მესაიდუმლე, საფარი და არა მისი კონკურენტი. და ქალი, რომელიც გაჩენილია ფიზიკურად სუსტი მამაკაცზე, არ უნდა იქნას აღქმული, როგორც მამაკაცის ძალის დემონსტრირების საშუალება. გაცნობიერებული უნდა იყოს, რომ საქორწინო შეთანხმებით ის არ ხდება „მამაკაცის საკუთრება“, არამედ არის არსება, „მინდობილი, როგორც ამანათი“. მათთვის, ვინც ცხოვრების მეგზურის წინააღმდეგ უხეშობენ და არ ერიდებიან ძალადობას, განა საკმარისი არ არის ჩვენი ძვირფასი შუამავლის სიტყვები: „ქალბატონებთან დაკავშირებით გეშინოდეთ ალლაჰის (ნუ დაგავიწყდებათ, რომ მას უნდა გასცეთ პასუხი). რადგანაც,



თქვენ ისინი მიიღეთ, როგორც ალლაჰის ამანათი და ალლაჰის სახელით (საქორწინო აქტის გაფორმებით) გახადეთ ისინი თქვენთვის ჰალალი.“ (მუსლიმი, ჰაჯ, 147)

## თუ ქალი განიცდის ძალადობას...

ალლაჰის შუამავალი, რომელმაც საზოგადოებას ამცნო ალლაჰის გზავნილი, საზოგადოებაში, სადაც ქალთა მიმართ ძალადობა გავრცელებული იყო, კატეგორიულად კრძალავდა ოჯახში ძალადობას და ამბობდა, „ალლაჰის მსახურ ქალბატონებს არ დაარტყათ!... მამაკაცები, რომლებიც ცემენ თავიანთ ქალბატონებს, არ გეგონოთ, რომ თქვენი კეთილმოსურნენი არიან!“ (ეზუ დავუდ, ნიჟაჰ, 41-42) მისი თქმით, ყველაზე კარგი მუსლიმი, არის ის, ვინც თავის ოჯახში იქცევა საუკეთესოდ.

ჩვენი ძვირფასი შუამავალი, რომელიც მის უმმეთს ურჩევდა მოწყალებას, მის სისცოცხლეშიც ყოველთვის ინარჩუნებდა ურთიერთობას გაგებით, სიყვარულით, თავაზიანობით და თანაგრძნობით თავის მეუღლეებთან. ჰზ. აიშეს სიტყვებით, „მას

არც ერთი ქალისთვის და არც ერთი მოსამსახურისთვის ერთხელაც კი არ გაუწვია სილა.“ (მუსლიმი, ფედაილ, 79) სისასტიკეს არასდროს პატიობდა, არასდროს ხუჭავდა თვალს ოჯახში ქალის მიმართ ძალადობაზე. შეუთავსებლობის შემთხვევაში, როდესაც შეთანხმების მიღწევა შეუძლებელი იყო, მიმართავდა მეუღლეების განქორწინების გზას. მაგალითისთვის, მან არ გამოიჩინა ტოლერანტობა თავისი მიმდევარი მეგობრის მიმართ, რომელმაც თავისი ქალბატონი სცემა და ხელი მოტეხა. როდესაც საბითის ქალბატონმა ჯემილემ განაცხადა, რომ აღარ სურდა ქორწინების გაგრძელება, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში უჩიოდა, შუამავალმა დაიბარა საბითი და მოსთხოვა გაყრა. (ნესაი, თალაყი, 53) ასეთი შუამავლის უმმეთის მიერ, მისი სიტყვების შემდეგ, “ხელი ტყდება მაგრამ ტანსაცმელში არ ჩანს” რაოდენ ცუდი წინააღმდეგობაა, როდესაც ამბობენ, რომ “ქმარია, უნდა სცემს უნდა ეყვარება” და ძალადობის მიმართ უყურადღებობა!

მუქარა, იძულებითი მუშაობა, მისი ფულის დასაკუთრება, უხეშად მოპყრობა ან იგნორირება სახლში... ქალი, რომელიც განიცდის ძალადობას, არ აქვს მნიშვნელობა რა ფორმით იქნება ეს, განიც-



დის მარტობას, უმწეობასა და უკმარი-  
სობას. მისი თავდაჯერებულობა ირყევა,  
გრძნობს რისხვას და სირცხვილს. მისი  
ძილი ქრება, ჯანმრთელობა უარესდება,  
კარგავს სიცოცხლის ხალისს. მეტიც,  
ძალადობა აისახება შვილებთან ურთი-  
ერთობაშიც. ყოველივე ეს ნიშნავს იმას,  
რომ ადამიანს ერთი ოჯახის ჭერქვეშ  
მიადგება ზიანი მათგან, ვისაც ყველაზე  
მეტად ენდობა. თუმცა, ჩვენი ძვირფასი  
შუამავალი ამბობს, “მუსლიმი არის ის,  
ვისი ხელით და ენით სხვა მუსლიმები  
არ დაზარალებიან.” (ბუჰარი, ედებ, 4)

## ნამუსის მოტივით შეიძლება მკვლევლობის ჩადენა?

ოჯახური ძალადობის ერთ-ერთი ყვე-  
ლაზე მტკივნეული მაგალითია ნამუსის  
გამო მკვლევლობა. არასწორი გაგების  
კვალი, რომელიც ქალის ნამუსზე პასუ-  
ხისმგებლობას აკისრებს ოჯახში მყოფ  
მამაკაცებს, მიდის ისლამამდელ უმეც-  
რების ხანამდე. თუმცა, ყურანში გან-  
მარტებულია, რომ ეს გაგება არ არის  
ჭეშმარიტი და რომ კაციც და ქალიც  
პირადად არის პასუხისმგებელი საკუ-  
თარ ნამუსზე, თავიანთი ადამიანური  
ღირსებისა და ღვთისმოსაობის ცნობი-



## ზინდა, რომ ჩვენს ოჯახში იყო თანამჩნობა

ერების შესაბამისად. ალლაჰი, რომელიც ბრძანების შემდეგ, „უთხარი მორწმუნე კაცებს, მთავარი თვალნი მათნი აკრძალულს და დაიცვან ნამუსი მათნი.“ (ნური, 24//30) ასევე ბრძანებს „და უთხარი მორწმუნე ქალებს, მთავარი თვალნი მათნი აკრძალულს და დაიცვან ნამუსი მათნი“ (ნური, 24//31), განა საკმაოდ ნათელი არ არის, რომ ორივე სქესისგან ელოდება ანალოგიურ მგრძობელობას?

უპატიებელი ძალადობა, რასაც ეძახიან ტრადიციებიდან/ნამუსიდან გამომდინარე მკვლევლობას ეფუძნება მიზეზებს, როგორცაა ქალის მიერ განქორწინების სურვილი, ახალგაზრდა გოგონას მიერ ოჯახისთვის სასურველ ადამიანზე დაუქორწინებლობა ამ მრუშობის ალბათობა. მართლაც, ქცევა, რომლისაც შეიძლება ეწოდოს “ნამუსის ღაქა” გაურკვეველია! შედეგად, ქალის სასტიკი ჩაგვრა ნამუსის საბაბით აღწევს ისეთ მდგომარეობამდე, როდესაც მისი არსებობა და ღირსება უგულვებელყოფილია.

რა თქმაუნდა ბუნებრივია, რომ მამაკაცმა იზრუნოს ოჯახში ქალებისა და ახალგაზრდა გოგონების უსაფრთხოებაზე და დაიცვას ისინი. თუმცა, შეუძლე-



ბელია, რომ თავსებადი იყოს ისლამის რელიგიასთან ქალის დასჯა, რომელსაც თავის დაცვის უფლებაც კი არ ეძლევა. ისინი, ვინც სისხლში გაისვრიან ხელს ე.წ. „ქალის ნამუსის“ აქედან გამომდინარე, ოჯახის ნამუსის გასუფთავების სახელით, არღვევენ ჩვენი რელიგიის საზღვრებს და ხდებიან მკვლევები. რადგანაც, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ადამიანს აქვს შეცდომა ნამუსთან დაკავშირებით, ის უნდა დაისაჯოს სამართლებრივი გზებით და არავის, მათ შორის მის ახლო ნათესავებს, არ აქვთ ასეთი აღსრულების უფლება. ნამუსის ნიადაგზე მკვლელობა დიდი დანაშაულია, რომელშიც თანამონაწილეა, როგორც ჩამდენი ასევე წამხალისებელი და ოჯახში მყოფი უფროსი ადამიანები, რომლებიც არიან მაყურებელის როლში.

## ოჯახში ბავშმა არ განიცადოს ძალადობა.

ბავშვი... ყველაზე წმინდა, ყველაზე სუფთა მდგომარეობა ადამიანისა. როდესაც ვხედავთ, ვამბობთ: „არასოდეს დაირღვეს მათი სიწმინდე.“ მიუხედავად იმისა, რომ ერთი მხრივ მოუთმენლად ვე-

muslim georgia





ლით მათ გაზრდას, მეორე მხრივ ვფიქრობთ „ნეტავ საერთოდ არ გაიზარდონ, სულ ასე ბავშვებად დარჩნენ!“ მაგრამ დროა ეს, გაივლის, ბავშვია გაიზრდება... ყოველ ახალ დღეს გადაჰყავს ის მოზარდების სამყაროში. იყო მშობელი, სინამდვილეში ნიშნავს მოამზადო შვილი საიქიოსთვის ყველაზე სწორი, ყველაზე ლამაზი ფორმით. ამიტომ, მშობლები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ თავიანთი შვილების განათლებას და აღზრდას. თუმცა, რაოდენ სამწუხაროა, რომ ზოგჯერ განათლებაზე გაწეულ შრომას, შეცდომები ერევა.

ჩვენი ძვირფასი

შუამავალი

ამბობს: ”ფრთხილად იყავით!

როგორც თქვენ გაქვთ უფლება

თქვენს ქალბატონებზე, ასევე

თქვენს ქალბატონებს აქვთ

უფლება თქვენზე.“

(თირმიზი, რადა, 11)

ქანდაკობა  
ნაგებობების  
უღივანი  
სქვრის  
სპეციალი



დუნიცხვიტ  
თქვენიოჯახი!

## მოსა თვინიერებლად ცემაასა ჭირო?

ბავშვების მიმართ გამოყენებული ძალადობის დასაბუთება, ხშირად “განათლებლა.” ზოგიერთის აზრით, „ცემა სამოთხიდანაა გამოსული.“ “ის, ვინც თავის ქალიშვილს არ სცემს, მოუწევს სცემოს თავისი მუხლები.“

ბავშვისთვის სწავლისას სილის გაწნა, მიყენებული შეურაცხყოფა, დარტყმული მუშტი ძალადობად არ ითვლება! სი-





ნამდვილეში კი, რამდენად ღრმა კვალს ტოვებს გულში დაცინვა. შურისძიების მსგავს, სიძულვილის მსგავს, არაფრის მსგავს რაოდენ მძიმე ემოციებს განაცდევინებს ყვირილი...

განათლებაში ძალადობის გადატანა შედეგია არა განათლების ერთ-ერთი საჭიროებისა, არამედ მოზარდების აღშფოთების, სულსწრაფობის, განათლების მეთოდებისა და ბავშვის სულიერი სამყაროს შესახებ არაინფორმირებულობის, ბავშვთან კომუნიკაციის დამყარების წარუმატებლობის. იმისათვის, რომ ბავშვმა ისწავლოს სწორად, უზრუნველყოთ მის მიერ საკუთარი შეცდომის პოვნა, გავაფრთხილოთ ის ტკბილი სიტყვებით და დავრთოთ ხელახლა ცდის ნება, ეს შეუძლებელია მეთოდია.

შემთხვევა წყალობის შეუძლებელსა და პატარა ბავშვს შორის, რომელიც ბერტყავდა ხურმის ხეებს, საუკეთესო მაგალიათია იმისა, რომ ბავშვი მოთვინიერების მიზნითაც კი, არ იმსახურებს ძალადობას. მათ, ვინც დააკავს ეს ბავშვი, დასჯის მიზნით მიიყვანეს ჩვენს შეუძლებელთან. მაგრამ იმის ნაცვლად, რომ დაესაჯა, შეუძლებელმა ჰკითხა მას, „შვილო,



## ვინდა, რომ ჩვენს ოჯახში იყო თანამჩინოა

ხეები რატომ ჩამობერტყე? „იმიტომ, რომ მშობია.“ უპასუხა ბავშვმა. მაშინ შუამავალმა უთხრა მას, „ხურმის ხეები არ ჩამობერტყეო და ძირს ჩამოცვენილები ჭამე.“ ამგვარად ასწავლა, როგორ მოქცეულიყო სწორად. მან არათუ დასაჯა ის, არამედ თავზე ხელი გადაუსვა და დალოცვა ადავლინა „ღმერთო, დაანაყრე ეს ბავშვი.“ (ებუ დაუდ, ჯიჰად, 85)

უნდა დავფიქრდეთ ამ დამოკიდებულების შესახებ, როდესაც მან ბავშვის დადანიშნულებამდე გაიგო მისი ქცევის მიზეზი და შემდეგ შესთავაზა მას ალტერნატივა. ბევრი არა, გამოვყოთ დღეში ათი წუთი იმისათვის, რომ უფრო ჯანსაღი და დადებითი გავხადოთ ურთიერთობები ჩვენს შვილებთან, შეგვიძლია ჩავატაროთ გონებრივი გიმნასტიკა. ჩვენ შეგვიძლია მოვძებნოთ გზები, რომ კითხვისა და კონსულტაციების მეშვეობით განვანათლოთ ისინი, ზიანის მიყენების გარეშე.

## ძალიან გაბრაზება ძალადობის საბაბია?

ბავშვები ზოგჯერ ხდებიან ძალადობის მსხვერპლნი იმის გამო, რომ ძალიან აბრაზებენ მშობლებს (!). ზოგ-



ჯერ ზრდასრულები ცდილობენ ახსნან ძალადობის საფუძვლები და ამბობენ, „იმდენად გამაბრაზა, რომ თავი ვერ შევიკავე.“ გაბრაზებასთან ერთად ვკარგავთ საღად აზროვნების უნარს! ნეტა მართლა ესაა ბავშვის წყენინების საბაბი? მოდით ახლა შევხედოთ საკითხს ასე: თუ ქმედებას, რომელიც ჩაიდინა ჩვენმა შვილმა, რომელმაც ჩვენ ძალიან გაგვაბრაზა, ჩაიდენს ის ვინც ჩვენზე ბევრად ძლიერია, გამოვხატავთ იგივე რეაქციას? ან თუ აღნიშნული შეცდომა დაუშვა ჩვენმა საყვარელმა მეგობარმა, მასაც მივაყენებთ შეურაცხყოფას? რომ აღარაფერი ვთქვათ იგივე რეაქციაზე, იგივე დონეზე გავბრაზდებით? თუ დავთმობთ, მოვითმენთ, ტოლფერანტულად მივუდგებით, ვაპატიებთ?

მოდით, ცოტაც დავფიქრდეთ ამ წინააღმდეგობაზე: გაბრაზებას თავიდან ვერ ვიცილებთ თუ საკმარისად არ ვცდილობთ, რომ თავიდან ავირიდოთ? მიზეზი, რის გამოც გაბრაზებას ვაქცევთ ძალადობად, შეიძლება იყოს ის, რომ ჩვენ უფრო ძლიერნი ვართ, ვიდრე ჩვენს წინაშე მყოფი? ან ის, რომ საკუთარი თავი მიგვაჩნია ჩვენი შვილის მესაკუთრედ?

მართლაც, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი, რის გამოც ბავშვები ძალადობას განიცდიან, არის ის, რომ მშობლები თავს მიიჩნევენ „ბავშვის მფლობელად“. თუმცა, ბავშვი იმსახურებს პატივისცემას, რადგან ის დედამიწის ყველაზე ძვირფასი არსებია, რადგან ადამიანია. ბავშვი „ღვთის ამანათია.“ უნიკალური წყალობა, იშვიათი ამანათი... ამიტომ მისმა მშობლებმა არ უნდა დაივიწყონ, რომ მათ არ აქვთ ყველაფრის უფლება მასზე და ერთ დღესაც ანგარიში უნდა ჩააბარონ ამანათის მფლობელს.

ყველაზე ეფექტური გზა იმისა, რომ არ ვაწყენინოთ ოჯახის წევრებს, რო-



დესაც ვართ დაღლილ, სტრესულ და ნერვიული მდგომარეობაში, შეიძლება იყოს გაჩუმება. ჩვენმა საყვარელმა შუამავალმა თქვა, „თქვენგან ვინც გაბრაზდება, თუ ფეხზე დგას მაშინვე დაჯდეს. თუ გაბრაზებამ გადაუარა კარგია, თუკი არ გადაუარა მაშინ წამოწვეს.“ (მუსნედ, V, 152) ნაცვლად იმისა, რომ წამოვდგეთ გაღიზიანებულები და დავჯდეთ დაზარალებულები, ჩვენი ოჯახური ურთიერთობებისას, როდესაც ვართ გაბრაზებულები შეგვიძლია მივმართოთ ამ მეთოდს, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ “უმოქმედობა“. მას შემდეგ, როდესაც გაბრაზება გაგვივლის, ჩვენი საუბარი მშვიდი ფორმით ბევრად უფრო ეფექტური იქნება ოჯახში.

## თუ ბავშვი ძალადობას განიცდის

ზოგჯერ ხელს არ აღმართავენ, წიხლებს არ ურტყამენ, მაგრამ უჩინარი ხელიწაფრენილია ბავშვის საყელოს. ის შეიძლება იყოს მკაცრი გაწყრომის, მუქარის, დამცირების, მეგობრებთან ან





და-ძმებთან შედარების, დაცინვის საგანი. ის შეიძლება იყოს იძულების ქვეშ, რათა დაიჭიროს მხარე შიდა ოჯახურ კონფლიქტებში, იყოს მოწმე ოჯახის ერთ-ერთი წევრის მიმართ ძალადობისა ან მშობლების მიერ შერჩეული, დარდის გაზიარებისთვის და ითვლებოდეს პრობლემების ქვეშ, რომელთა მოგვარებაც შეუძლებელია.

ძალადობის ყველა ეს განსხვავებული ასპექტი თავდაყირა აყენებს ბავშვის ემოციურ სამყაროს და ძირს უთხრის მის ფსიქიკურ ჯანმრთელობას. აზიანებს, როგორც მის თავდაჯერებულობას ასევე ასუსტებს მის კავშირს მშობლებთან. იწვევს მის მიერ საკუთარი თავის დადანაშაულებას და უმწეოდ გრძნობას, უჩნდება რწმენა, რომ ის არაკომპეტენტური და წარუმატებელია. ყველაზე ცუდი ის არის, რომ ის ძალადობას მიიჩნევს, როგორც ქცევის მოდელს და მისი სხვების მიმართ გამოყენების მიზეზი ხდება. უფრო მეტიც, განიზრახავს შურისძიებას მწარე დღეებისთვის, ცემისთვის, შეურაცხყოფებისთვის და ერთ დღეს თავისი მშობლების მიმართ აღმართავს ხელს.



## მას ეს არ განვაცდევინოთ!

იმისათვის, რომ შევძლოთ ჩვენი შვილის აღზრდა, როგორც პატივსაცემი, სათნო, ჯანსაღი, როგორც ფიზიკურად ასევე სულიერად და ბედნიერი ადამიანის, ჩვენ უნდა ვიზრუნოთ, რათა დავიცვათ იგი ძალადობის ყველა ფორმისგან. რასაკვირველია, პირველ რიგში, საკუთარი ძალადობისგან, რასაც ვიყენებთ გაცნობიერებით ან გაუცნობიერებლად... მოდი დავფიქრდეთ კიდევ ერთხელ, რომ ჩვენი საქციელი, ჩვენი სიტყვები, ჩვენი მზერა და ჩვენი გადაწყვეტილებები შეიცავს თანაგრძნობას თუ ძალადობას. გამოვიჩინოთ ძალისხმევა, რათა შევცვალოთ ჩვენი სიტყვები და ქცევები, რომელიც ზიანს აყენებს ჩვენს ოჯახს.

## ვინდა, რომ ჩვენს ოჯახში იყო თანაგრძობა

ჩვენს შვილებთან, რომლებიც ცდილობენ ისწავლონ ცხოვრება შეცდომის დაშვებით, გამოცდით, დაცემითა და წამოდგომით, შეგვიძლია დავამყაროთ კარგი ურთიერთობა მხოლოდ მათ მიმართ მოთმინებით, თანაგრძობით და ტოლერანტული ქცევით. ამ კონტექსტში, მოვისმინოთ ენეს ბ. მალიქის მონაყოლი, რომელმაც თავისი ბავშვობა გაატარა ჩვენს საყვარელ შუამავალთან, წლების





განმავლობაში ცხოვრობდა მასთან და ემსახურებოდა მას: “მე ვემსახურე ალ-ლაჰის ელჩს ათი წლის განმავლობაში. ვფიცავ ალლაჰს, ერთხელაც არ უთქვამს ჩემთვის „უჰ!“ რაიმეს გამო არ უთქვამს, ასე რტომ გააკეთე? ან ასე რატომ არ გააკეთეო და არ გამწყრომია. (მუსლიმი, ფადაილ, 51-54)

ნეტავ ჩვენი შვილებიც ასეთ ღამაზ წინადადებებს აყალიბებენ ჩვენს შესახებ? მათაც შეუძლიათ ჩვენთვის იგივე დაამოწმონ?

## ჩემს ოჯახში ხანდაზმულმა არ განიცადოს ძალადობა

„სიცოცხლის ბოლო ასაკი, ბოლო გაზაფხული“ აღწერს პოეტი სიბერეს. ხანდაზმულობას, რომელიც მოყვება წლების განმავლობაში მოპოვებულ სიმწიფეს და სიბრძნეს, მოაქვს გარკვეული სირთულეები. საჭიროებების დამოუკიდებლად დაუკმაყოფილებლობა, ავადმყოფობა, სოციალური ცხოვრებისგან მოწყვეტა, გონებრივი ჩამორჩენა თან ახლავს სიბერეს. ეს არის ბავშვობაში დაბრუნების ერთგვარი პერიოდი. როლები შეიცვალა, მკლავები, რომლე-





ბიც თანაგრძნობით ეხვეოდა შვილებს, ელოდება მათ თანაგრძნობას. თვალებს, რომლებიც გვიმზერს სიყვარულით, მზრუნველობით, არიდებს საკუთარ თავს თავის შვილებს, ახლა სჭირდება მათი თვალების ყურადღების სხივი, სიყვარულის გამობრწყინება.

ცხოვრებისეული მოგზაურობის ამ გაჩერებაზე შეცვლილია ბალანსიც: ახლა უფრო მეტია მშობლების უფლებები და შვილის პასუხისმგებლობა. ჩვენი უფალი ამ პასუხისმგებლობას შემდეგნაირად განმარტავს: „და დაგიდგინა შენმა ღმერთმა, რომ არ ეთაყვანოთ არავის, გარდა მისი და კეთილად მოექცეთ მშობლებს. თუ მშობელთაგან ერთ-ერთი ან ორივე მიაღწევს სიბერემდე, არ უთხრა: „უჰ!“ და არ გაუწყრე მათ და ლამაზი სიტყვა უთხარი! და ისინი მფარველობის ქვეშ აიყვანე ღმობიერებითა და თავმდაბლობით და თქვი: ღმერთო ჩემო! პატარაობისას როგორც გამზარდეს, ისე შეიწყალე ესენი!“ (ისრა, 17/23-24) ასეთი შეფასების შემდეგ, რომ აღარაფერი ვთქვათ ხანდაზმული მშობლების მიმართ ფიზიკურ ძალადობაზე, ნათელია, რომ ჩვენ არ გვაქვს მისაღები საპატიო მიზეზი გაუწყრეთ მათ ან მობეზრებით ვუთხრათ „უჰ!“

მიუხედავად ამისა, ხანდაზმულებიც მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ ხვდებიან იმ ძალადობისა, რომელიც გავლენას ახდენს საზოგადოების ყველა ნაწილზე. უფრო მეტიც, მოხუცები წარმოადგენენ ყველაზე მოწყვლად ჯგუფს. ჩვენი ხანდაზმულები ზოგჯერ შეიძლება აღმოჩნდნენ ფიზიკური ძალადობის წინაშე, როგორცაა ცემა და ხელის კვრა, ზოგჯერ სიტყვიერი ძალადობის წინაშე, როგორცაა საყვედური და გაჩუმება, ზოგჯერ კი ეკონომიკური ძალადობის, როგორცაა მათი ქონების მისაკუთრება.

თუმცა, ჩვენი საყვარელი შუამავალი მათ შესახებ ბრძანებს: “ის, ვინც პატარებს თანაგრძნობით არ ექცევა, უფროსებს არ სცემს პატივს, ჩვენიანი არაა.” (თირმიზი, ბირ, 15) თუ არ იმსახურებს, იყოს შუამავლის უმმეთიდან, ვინც პატივს არ სცემს ხანდაზმულებს, მათთვის ძალადობის მართებულად მიჩნევის ყოფა, როგორ შეიძლება გამოიხატოს!

## თუ მოხუცი ძალადობას განიცდის...

გამოცდაზე, რომელიც იწყება მშობლების დაბერებით, უპირველეს ყოვლი-



სა, ის რაც არ უნდა დაავიწყდეს შვილს, არის მშობლების მიერ მისთვის გაღებული მსხვერპლი. როდესაც წმინდა ყურანი ბრძანებს, რომ კეთილად მოვექცეთ ჩვენს მშობლებს, გვახსენებს მათ მიერ გაღებულ შემდეგ მსხვერპლს: „და ვუანდერძეთ ადამიანს მისი მშობლები. ატარა დედამ თავისმა, გაჭირვება-გაჭირვებით და მისი ძუძუდან მოწყვეტა ორ წლამდე გრძელდება. მე შემწირე მადლობა და შენს მშობლებს, რამეთუ ჩემთანაა მოსაქციელი!“ (ლუყმანი, 31/14)

ზოგჯერ, მოხუცებს უწყრებიან, როდესაც რაღაცას იკითხავენ ან გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს რომელიმე საკითხთან დაკავშირებით. თუმცა, როდესაც ისინი პატარები იყვნენ ერთი და იგივეს ეკითხებოდნენ ბევრჯერ, მათ პასუხობდნენ მოუბეზრებლად; ისინი ასწორებდნენ თავიანთი შვილების შეცდომებს, დაუდევრობებს; იჩენდნენ მოთმინებას მათ გამოუცდელობებზე; ითმენდნენ მათ კეკლუცობას. როდესაც ისინი ავადმყოფობდნენ, ღამეები უძილოდ ელოდებოდნენ თავთან. ახლა მათ უნდა მიიღონ თანაგრძნობა და სიკეთე შვილებისგან. ზოგჯერ ისინიც ავად გახდებიან და დაიწყებენ კეკლუცობას. ვინაიდან მოუნდებათ იგრძნონ და მოისმინონ, რომ უყვართ. მათ მოუნდებათ იცოდნენ, რომ არიან ღირებულნი, გამოსადეგნი, მათი გამოცდილება საჭიროა.

მაშინ, მხარში ამოვუდგეთ ჩვენი ოჯახის უხუცესებს ყველა სფეროში და არ დავუშვათ, რომ თავი ტვირთად იგრძნონ. არ დავუშვათ ჩვენი უფროსების უგულვებელყოფა; მონდომებით და სიყვარულით შევასრულოთ მათი სისუფთავის, კვებისა და მოვლის მომსახურება, როდესაც ისინი ვერ იკმაყოფილებენ სა-



კუთარ საჭიროებებს დამოუკიდებლად. გაგებით მოვეკიდოთ თუ აერევათ და დაავიწყდებათ, დაუვარდებათ და გატეხენ. არ წაგვიცდეს ხელი მის შემოსავალზე ან ქონებაზე მიზეზით „რად უნდა ფული ამ ასაკში? ისედაც ჩვენ ვუვლით! რასაც ჭამს წინ უდევს, რასაც არა უკან.“ ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩვენმა შუამავალმა გაკიცხა ისინი, ვინც მიუხედავად იმისა, რომ მათი მშობლები მოესწრენ ხანდაზმულობის ასაკს, კეთილად არ მოეპყრნენ, ხელიდან გაუშვეს მათი მომსახურებისა და ალლაჰის კმაყოფილების მოპოვების შანსი და თქვა „სირცხვილი მას!“ (მუსლიმი, ბირ, 9)

ჩვენი ოჯახი აყოს თანაგრძნობის ყვინი

ადამიანი პირველ თანაგრძნობას ჰპოვებს დედის კალთაში. ის უყურებს თავის დედას და მამას, უსმენს მათ სიტყვებს, იღებს მაგალითს მათი ქცევებიდან და იზრდება. იგი ძალიან მცირე ასაკში ეცნობა თანაგრძნობასაც და ძალადობასაც. ალბათ, ეს არის დრო, რომ გავიმეოროთ, რაც დასაწყისში





ვთქვით: ადგილი, სადაც სიტყვა ძალადობა არავითარ შემთხვევაში არ უნდა შევიდეს ოჯახია. რადგანაც, ღმერთმა შექმნა სიყვარული და თანაგრძნობა მეუღლეებს შორის, როგორც ოჯახის სამშენებლო ბლოკები. თუ მეუღლეები ურთიერთობას ძალადობის გარეშე განავითარებენ, დაფუძნებულს სიყვარულსა და თანაგრძნობაზე, ეს ურთიერთობა გავრცელდება მთელს ოჯახზე, იქიდან კი გავრცელდება საზოგადოებაში. მაგრამ თუ სიყვარულის კავშირები გაწყდება, თანაგრძნობის ძარღვები გადაიჭრება ისე, როგორც ოჯახი თავისთავად დაიშლება, საზოგადოებაც დასუსტდება და დაკარგავს სიმშვიდეს.

ნუ დაგვავიწყდება, რომ ღვთის წყალობის მოპოვების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზა ადამიანების მიმართ თანაგრძნობაა.

ჩვენი ძვისრფასი  
შუამავალი ამ  
ჭეშმარიტებას ასე  
გამოსატავს: „აღლაპი  
არ გამოსატავს  
თანაგრძნობას მის  
მიმართ, ვინც ადამიანების  
მიმართ არ გამოსატავს  
თანაგრძნობას.” (ბუჰარი,  
თეჟჰიდ, 2) მითუმეტეს, თუ ეს  
ადამიანები არიან ჩვენი  
მეუღლეები, ბავშვები,  
ოჯახის უხუცესები...

